პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	ინგლისური ფილოლოგია English Philology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი/ Bachelor of English Philology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:** • **50 ECTS** კრედიტი ეთმობა ყველა სტუდენტისთვის სავალდებულო ე.წ. საბაზო ჰუმანიტარული კომპეტენციების სასწავლო კურსებს; • **120 ECTS** კრედიტი განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისთვის (საბაკალავრო პროგრამისთვის); • **60 ECTS** კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) არჩევა. დამატებითი პროგრამის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ისე თსუ-ს სხვა ფაკულტეტებზეც. **შენიშვნა:** დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, 60 კრედიტი გამოიყენოს თავისი ან სხვა საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების შესასწავლად (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი/მოდული. საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე). დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია კრედიტების გარკვეული რაოდენობა (მაქს. 40 კრედიტი) გამოიყენოს უცხოური ენის შესასწავლად ან უცხოური ენის ცოდნის გასაღრმავებლად. • **10 ECTS** კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის (სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, როგორც სასპეციალიზაციო პროგრამიდან, ისე მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის უცხოური ენა). **სპეციალობის 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:** • **20 ECTS** კრედიტი განკუთვნილია ე.წ. ფილოლოგიური კომპეტენციისთვის სავალდებულო კურსებისთვის; • **75 ECTS** კრედიტი გათვალისწინებულია სპეციალობის ძირითადი კურსებისთვის; • **25 ECTS** კრედიტი – სპეციალობის არჩევითი კურსებისთვის;

	საბაკალავრო ნაშრომი **ინგლისური ფილოლოგიის** სპეციალობის საბაკალავრო პროგრამისათვის არჩევითია, რაც ნიშნავს იმას, რომ სტუდენტს შეუძლია შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი, ან აიღოს ორი დამატებითი არჩევითი საგანი **ინგლისურ ენაზე** (10 კრედიტის ფარგლებში). ასევე, რეკომენდებულია ინგლისური პროგრამის სტუდენტებმა თავისუფალი 10 კრედიტის ფარგლებში მოისმინონ პროგრამის ორი ახალი, ინოვაციური არჩევითი კურსი ინგლისურ ენაზე *გამოყენებითი ლინგვისტიკა და უცხო ენის შესწავლა (ინგლისურ ენაზე) და შემოქმედებითი წერა და კომუნიკაცია (ინგლისურ ენაზე),* რომლებიც მათ გაუღრმავებთ დარგობრივ ცოდნას და შესძენთ იმ დამატებით ენობრივ კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია შრომითი ბაზარზე მათი წარმატებით დასაქმებისათვის. ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება და ძირითადი პროგრამის 170 კრედიტის (50+120) შესრულება.
სწავლების ენა	ქართული ენა (პროგრამის მაპროფილებელი საგნების უმეტესი ნაწილი იკითხება ინგლისურ ენაზე).
პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები/ კოორდინატორი	პროფ. მანანა რუსიეშვილი და პროფ. მანანა გელაშვილი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	წინამდებარე პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ზოგადი და უპირველესი მიზანია პროგრამის კურსდამთავრებულის ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების მიხედვით კონკურენტუნარიანი, განათლების საფეხურის დონის შესაბამისი სისტემური ცოდნით და უნარებით აღჭურვა, რათა ის 1. ფლობდეს და იყენებდეს ინგლისურ ენას უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს შესაბამისი დონით (CEFR-B2+), როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომუნიკაციისთვის სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან და მსჯელობდეს ფართო დიაპაზონის (ენის თეორიის, ლიტერატურის, კულტურისა და სხვადასხვა თემატიკის ყოველდღიური კომუნიკაციის) საკითხებზე; 2. აანალიზებდეს ლიტერატურულ (მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები) და არალიტერატურულ (პრესის, ბიზნესის, იურიდიული) ტექსტებს ენობრივ-სტილისტურად და ახდენდეს მათ ინტერპრეტაციას სხვადასხვა პერსპექტივიდან ინგლისურ ენაზე; შეეძლოს ინგლისურ და ქართულ ენაზე მათი წარდგენა

	(უახლესი ტექნოლოგიური საშუალებებით), ქართულ ენაზე თარგმნა და შინაარსის რეპროდუცირება; 3. იცნობდეს და იაზრებდეს თანამედროვე ინგლისური ენის თეორიის (ენის სტრუქტურის, ლექსიკური სისტემის, სტილისტიკისა და ენის ისტორიის), თარგმანთმცოდნეობის ძირითად დებულებებსა და მეთოდებს, შეეძლოს მათი არგუმენტირებული და კრიტიკული ანალიზი, ინტერპრეტაცია (ინგლისურ ენაზე), პროგრამით გათვალისწინებული მარტივი და საშუალო სირთულის ენობრივი ფაქტების შედარება ქართული ენის შესაბამის მასალასთან; აცნობიერებდეს კავშირს შიდაენობრივ და ენათაშორის სისტემებს შორის; 4. აცნობიერებდეს და აღწერდეს პროგრამის საფეხურით გათვალისწინებულ ენათმეცნიერების, ლიტერატურის თეორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის აქტუალურ საკითხებს; მიმოიხილავდეს, აანალიზებდეს მათ; შეეძლოს მათი ეფექტური წარდგენა აუდიტორიისათვის; 5. შეეძლოს მსოფლიო და ინგლისური ლიტერატურის ძირითადი ტენდენციების, მიმართულებების, ავტორებისა და მათი ნაშრომების არგუმენტირებული მიმოხილვა, მსჯელობა, წარდგენა და ანალიზი; 6. ხელს უწყობდეს საზოგადოების ინტელექტუალურ, ზნეობრივ და კულტურულ განვითარებას, პროგრესული ღირებულებების საზოგადოებაში განმტკიცებას; შეეძლოს დროისა და შრომის ეფექტური ორგანიზება.
სწავლის შედეგები	**ა) ცოდნა და გაცნობიერება** ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი 1. ამჟღავნებს ინგლისური ენის B2+ (Independent User) შესატყვისი მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის ცოდნას; ფლობს ენის ცოდნის ოთხივე უნარს (ლაპარაკი, წერა, კითხვა და მოსმენა); ამყარებს კომუნიკაციას დონის შესაფერის ფართო სპექტრის პრობლემატიკასა და თემატიკაზე. 2. განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ინგლისურ ენასთან, მის ფონეტიკურ, ლექსიკურ და/ან გრამატიკულ სისტემებთან, ისტორიულ-კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, თეორიებს, პრინციპებსა და უახლეს პრობლემატიკას. სწავლის, კვლევისა და საქმიანობის პროცესში აანალიზებს ინფორმაციას/ტექსტს/მასალას, ახდენს მის სინთეზს, თარგმანს, ინტერპრეტაციასა და კონტექსტუალიზაციას სხვადასხვა პერსპექტივით/პერსპექტივიდან; 3. ინგლისური ენის სტრუქტურის, ლექსიკოლოგიის, ენის ისტორიის, თარგმანმცოდნეობის და სტილისტიკის აქტუალური საკითხებისა და თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების ზოგადი და ფართო თეორიული ცოდნის საფუძველზე განსაზღვრავს ენის სისტემის არსს და ხედავს კავშირს ენის თანამედროვე და დიაქრონული განვითარების ტენდენციებს შორის; ადგენს გრამატიკული

	სტრუქტურების, ლექსიკური და სტილისტური მოვლენების მსგავსებასა და განსხვავებებს ინგლისურსა და მშობლიურ ენებში. ადარებს და აპირისპირებს სამიზნე ენასთან, მის ისტორიულ-კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს დარგის ძირითადი თეორიების, პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით; 4. აღწერს და აცნობიერებს ენათმეცნიერების, ლიტერატურის თეორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის აქტუალურ საკითხებსა და მეთოდებს, ახორციელებს მათ ანალიზს კონკრეტულ მიდგომაზე დაყრდნობით და წარადგენს აუდიტორიის წინაშე. 5. მიმოიხილავს, მსჯელობს, აანალიზებს და წარადგენს ქართულ და ინგლისურ ენებზე მსოფლიო და ინგლისური ლიტერატურის ძირითად ეტაპებს, მოვლენებს, ტენდენციებს, მნიშვნელოვან ავტორებს და ნაშრომებს; მათი შემოქმედების ძირითად პრობლემატიკას და კვლევის თანამედროვე მდგომარეობას, ცალკეული ნაწარმოებების კონცეპტუალურ და სტილისტურ მახასიათებლებს. **ბ) უნარები** 1. იყენებს ინგლისურ ენას როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციის დროს, სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისთვის; მონაწილეობს დარგობრივ დისკუსიაში, მსჯელობს არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებზე. 2. მითითებების საფუძველზე, დამოუკიდებლად აწარმოებს განათლების ამ საფეხურით გათვალისწინებულ მცირე მასშტაბის, ელემენტარულ, პრაქტიკულ ან თეორიულ კვლევაზე/ თარგმანზე დაფუძნებულ დავალებას; ადარებს ინგლისური ენის თეორიის საკვანძო, ფუნდამენტურ საკითხებს მშობლიურ ენის შესაბამის მასალას; 3. ინგლისურ ენაზე ამზადებს და პრეზენტაციის სახით წარადგენს არჩეული ენის პრაქტიკულ პრობლემასთან (პრესა, ბიზნესი, ტექსტის ინტერპრეტაცია...), ენის თეორიასთან თუ ლიტერატურასთან დაკავშირებული პრობლემის არსს და, რელევანტურ მაგალითებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, მსჯელობს, აკავშირებს და აანალიზებს პრობლემას ენის სისტემასთან დაკავშირებულ გარკვეულ თეორიასთან/ლიტერატურის პერიოდთან და ენის ისტორიის პერიოდთან მიმართებით; ასევე, კომენტარს აკეთებს თარგმანის მახასიათებლების შესახებ; ადარებს ენობრივ მასალას და გამოავლენს მსგავს და განსხვავებულ ნიშნებსა და მახასიათებლებს. კრიტიკულად აჯამებს, აფასებს წარმოდგენილ არგუმენტებს და წარმოადგენს დასკვნას მათ შესახებ; ადეკვატურად იყენებს სპეციფიკურ თეორიულ აკადემიურ კურსთან და მასალასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიურ და მეთოდოლოგიურ აპარატს; 4. გამოყოფს ინფორმაციის კონცეპტუალურ პრიორიტეტებს, იყენებს

	საინფორმაციო ტექნოლოგიებს, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტს, სამიზნე აუდიტორიასთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას; **5.** მოიძიებს და მიზნობრივად იყენებს ქართულ და/ან ინგლისურ ენაზე/ენებზე არსებულ წერილობით, ზეპირ და სხვა სახის რელევანტურ წყაროებს, მულტიმედიურ და საბიბლიოთეკო რესურსებს. **გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** 6. ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვისა შრომის ორგანიზების უნარს; 7. მოქმედებს აკადემიური ეთიკისა და პროფესიული ქცევის ნორმათა ფარგლებში; ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, კვლევისა და მუშაობის უნარს; 8. პატივს სცემს განსხვავებულ აზრს, ერკვევა ღირებულებით ორიენტაციებში და შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს კულტურათა დიალოგისა და ჭეშმარიტი ღირებულებების დამკვიდრების პროცესს; ხელს უწყობს საზოგადოების ინტელექტუალურ, ზნეობრივ და კულტურულ განვითარებას.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, ესეს, თარგმანის, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, გარკვეულ ქმედებაზე (მაგ, მიცემულ დავალებაზე) ორიენტირებული სწავლება, სხვადასხვა ტიპის წერითი დავალებები და სხვ.). **დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს სასწავლო პროცესში, მათ აქტივობას. დისკუსიის მეთოდი უვითარებს სტუდენტს ინგლისურ ენაზე კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს. **ჯგუფური მუშაობა** - ეს სტრატეგია არამარტო უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, არამედ ხელს უწყობს გუნდურ მუშაობას, ჯგუფის წევრებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილებას, სხვათა აზრის პატივისცემას, ინტერპერსონალური ეთიკის ნორმების დაცვას და ა.შ. **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას, რაც სტუდენტს უვითარებს არამარტო ლოგიკური და არგუმენტირებულ მსჯელობის უნარს, არამედ ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის მოძიების უნარს. **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით

	განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ მოტივირებას და მობილიზებას იმიტირებულ სიტუაციაში ჩასართველად. **დემონსტრირების მეთოდი** –შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი ხელს უწყობს არა მარტო სასწავლო მასალის თვალსაჩინოდ აღქმას, არამედ სტუდენტს უვითარებს საკითხის/პრობლემის არსის ვიზუალურად წარმოაჩენის უნარს. **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი** - აღნიშნული მეთოდების გამოყენება სასწავლო და კვლევით პროცესში სტუდენტს უვითარებს აზრის განზოგადებისა და კონკრეტიზაციის, საკითხის დეტალური ანალიზისა და პრობლემის მთლინობაში დანახვის უნარებს. **ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – ხელს უწყობს თეორიული მასალის პრაქტიკულ განხორციელებას. **წერითი მუშაობის მეთოდი,** რომელიც გულისხმობს თეზისების შედგენას, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ. პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდების სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორიციელებული ზეპირი კომუნიკაცია სააუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის. საბაზისო დარგობრივი ცოდნის შეძენისას **ინგლისური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად. ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას და მათ ეტაპობრივ რეალიზებას. ამგვარი სტრატეგიისა და დაგეგმვის აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ **ინგლისური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა ინგლისური ენით მარკირებული პროგრამაა, რომლის შემადგენელი უმეტესი თეორიული სალექციო და პრაქტიკული კურსი ინგლისურ ენაზე იკითხება და ინგლისურენოვან ტექსტზე ორიენტირებულ სწავლებაზეა დაფუძნებული.

შეფასების სისტემა	სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს (კომბინირებული გამოცდა); დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სემესტრული აქტივობებით დაგროვილი აქვს მინიმუმ 21 ქულა. უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60– საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით/ განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსების შესაბამის სილაბუსებში. სასწავლო კურსის საბოლოო მინიმალური დადებითი შეფასება 51 ქულაა. ერთი და იმავე სავალდებულო საგანში სამჯერ F შეფასების მიღება წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. ამ შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით. სასწავლო კომპონენტი (საბაკალავრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც სტუდენტი დაიშვება ნაშრომის ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და საბაკალავრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის სპეციალისტის რეცენზია (მაქს. 60 ქულიდან მინიმუმ 31 ქულის მიღების გარეშე საჯარო დაცვაზე სტუდენტი პრეზენტაციით ვერ წარსდგება) და სტუდენტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია დაცვის კომისიის წინაშე (მაქს. 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მიღება აუცილებელია). საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და საბაკალავრო დაცვის კომისიის შეფასების ჯამს.

	საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება 51 ან მეტი ქულის ტოლია. საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია. სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთან უკუკავშირს, მათ დროულ და დეტალურ ინფორმირებას შუალედური შეფასების და ფინალური გამოცდის შედეგების შესახებ, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, სწავლის პროცესში უკეთ გაიაზროს თავისი შეცდომები, სუსტი მხარეები და იზრუნოს თავის პროფესიულ განვითარებაზე.
დასაქმების სფეროები	აღნიშნული დარგობრივი ცოდნით, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარით და ზოგად ტრანსფერული უნარებით თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ინგლისური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული მზადდება, როგორც ფართო პროფილის სპეციალისტი სათარჯიმნო-მთარგმნელობითი, საინფორმაციო, სამუზეუმო, სარედაქტორო, სარეფერენტო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის. შრომით ბაზარზე ის შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, გამომცემლობებში, საელჩოებში და დიპლომატიურ მისიებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში, ტურისტულ ფირმებში, სხვადასხვა კომპანიებში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებულ იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის; ასევე თარჯიმნებად, რისი მოთხოვნილებაც დღევანდელი საქართველოს შრომით ბაზარზე არსებობს.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტდენტებისთვის	უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს.
პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიუალური რესურსი	**ინგლისური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები და მკვლევრები, თსუ ენების ცენტრის მასწავლებლები, რომელთაც აქვთ **ინგლისური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამისა და კონკრეტული სასწავლო კურსის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება. მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი მასწავლებლები უძღვებიან ინგლისური ენის პრაქტიკულ მეცადინეობებს. პროგრამის ყველა თეორიულ სასწავლო კურსს უძღვება დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მკვლევარი, მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის, სასწავლო სახელმძღვანელოს ავტორი,

	მთარგმნელი. **ინგლისური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის კურსების უდიდესი ნაწილი (გარდა საუნივერსიტეტო კურსებისა) იკითხება ინგლისურ ენაზე, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს სრულყოფილად შეისწავლონ ინგლისური ენა. მიმართულების პროფესურა მუდმივად იმაღლებს კვალიფიკაციას ცნობილ უნივერსიტეტებში (ოქსფორდი, კემბრიჯი, ნოტინგემი, სარი), მონაწილეობს საერთაშორისო მნიშვნელობის კონფერენციებსა და პროგრამებში, ერაზმუს+ პროგრამით მათ იწვევენ ევროპის უნივერსიტეტებში ლექციებისა და სემინარების წასაკითხად. ხშირად პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს ბრიტანელი ან/და ამერიკელი სპეციალისტი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების გამოცდილი და საერთაშორისო აღიარების მქონე აკადემიური პერსონალი: პროფესორები, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მანანა რუსიეშვილი და ფილოლოგიის დოქტორი მანანა გელაშვილი; ასოცირებული პროფესორები: ფილოლოგიის დოქტორი, თსუ უცხო ენების ცენტრის დირექტორი რუსუდან დოლიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნინო დარასელია, ფილოლოგიის დოქტორები ნათია ნემსაძე, ირინე გველესიანი და დავით მაზიაშვილი. ასისტენტ-პროფესორები: ფილოლოგიის დოქტორები ირინა დემეტრაძე, თამარ გელაშვილი და სოფიო თოთიბაძე; მოწვეული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი მარიამ ქებურია. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების დოქტორანტები. **ინგლისური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის მატერიალურ–ტექნიკურ ბაზა ხორციელდება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე (მისამართი: ი.ჭავჭავაძის გამზ. N 36, თსუ მეხუთე კორპუსი,) რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ–ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მეთოდების, ფუნდამენტური და უახლესი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების გამოყენებით სწავლებას და, შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევას. გარდა ამისა, პროგრამის სტუდენტები ზოგადჰუმანიტარული პროფილის და დამატებითი საბაკალავრო პროგრამების სასწავლო დისციპლინებს, არჩევით სასწავლო კურსებს ეუფლებიან თსუ და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სხვა სასწავლო კორპუსებშიც. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია როგორც თსუ ცენტრალური, ისე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკები; ასევე ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების მცირე თემატური ბიბლიოთეკა/ წიგნადი ფონდი; უნივერსიტეტისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრები; საქართველოს ინგლისური ენის

	მასწავლებელთა ასოციაციის ბიბლიოთეკა (თსუ მეხუთე კორპუსი).
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის/ ინსტიტუტის/დეპარტამენტის/ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მეცნიერ–მკვლევრები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	სტუდენტებმა, რომლებსაც სპეციალობად ინგლისური ფილოლოგიის არჩევა სურთ, საფაკულტეტო შესავლების კურსიდან აუცილებლად უნდა აირჩიონ შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში, ვინაიდან აღნიშნული კურსი, თავისი შინაარსითა და მიღებული ცოდნის შედეგებით, უაღრესად მნიშვნელოვანია ძირითადი სპეციალობის კურსების გასავლელად. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სპეციალობის არჩევის ბოლო ვადაა სწავლების მეორე სემესტრი. სტუდენტს შეუძლია, სურვილის შემთხვევაში, დამატებითი პროგრამისათვის განკუთვნილი კრედიტები მოახმაროს ენების გაძლიერებით შესწავლას, ან აიღოს პროგრამის მიერ რეკომენდებული დამატებითი პროგრამები: პედაგოგიკა, ქართული ფილოლოგია, ტურიზმი, ფსიქოლოგია, ჟურნალისტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, ბიზნესის ადმინისტრირება, ფსიქოლოგია, პოლიტოლოგია. ამ დამატებითი პროგრამების კომბინირება **ინგლისური ფილოლოგიის** ძირითად პროგრამასთან სტუდენტს უფართოებს სტუდენტს ცოდნის არეალს და კურსდამთავრებულს აძლევს შრომით ბაზარზე დასაქმების მეტ შანსს. პროგრამის შემუშავების დროს მხედველობაშია მიღებული ცნობილი ინგლისური და ინგლისურენოვანი უნივერსიტეტების (ოქსფორდის, კემბრიჯის, უორიკის, ნოტინგემის გამოცდილება). ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა მუდმივად ცვალებადი პროგრამაა, რომელიც ვითარდება როგორც სფეროს უახლესი გამოცდილებების გათვალისწინებით, ასევე საზოგადოების, შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების რეკომენდაციების საფუძველზე. რეკომენდებულია, **ინგლისური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა თავისუფალი 10 კრედიტის ფარგლებში მოისმინონ პროგრამის ორი ახალი, ინოვაციური არჩევითი კურსი **გამოყენებითი ლინგვისტიკა და მეორე ენის**

	შესწავლა (ინგლისურ ენაზე) და **შემოქმედებითი წერა და კომუნიკაცია (ინგლისურ ენაზე)**, რომლებიც მათ გაუღმავებთ დარგობრივ ცოდნას და შესძენთ იმ ენობრივ კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია შრომითი ბაზარზე მათი წარმატებით დასაქმებისათვის.